განათლება
Education

რიცხვთა შედარების და შემთხვევათა ანალიზის გამოყენება ტექსტური ამოცანების ამოხსნისას დაწყებით კლასებში

გიორგი ბერძულიშვილი
giorgi.berdzulishvili@atsu.edu.ge
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გიორგი ბრეგაძე
ანდრია რაზმაძის სახელობის ქუთაისის #41
ფიზიკა-მათემატიკური სკოლა
ირინე გოგიბერიძე
irine.gogiberidze@atsu.edu.ge
თამარ დოგრაშვილი
tamar.dograshvili@atsu.edu.ge
ირმა ჩხიკვაძე
irma.chkhikvadze@atsu.edu.ge
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

საძიებო, არასტანდარტული, საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანების ამოხსნა შემოქმედებითი პროცესია და მეთოდურად რთულია. ამოცანის ამოხსნა მოითხოვს მისი ყველა კომპონენტის სრულფასოვან გათვალისწინებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ დაწყებით კლასებში რიცხითი შედარებების და შემთხვევბის ანალიზის გამოყენებას საძიებო, არასტანდარტული, საოლიმპიიდო ამოცანების ამოხსნისას. განსახილავი ამოცანების სირთულეს განსაზღვრავს მხოლოდ მასწავლებელი და დამოკიდებულია მოსწავლეთა მომზადების დონეზე, მათ გონებრივ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ მონაცემებზე, სკოლის და სწავლა/სწავლების პროფილზე. სტატიაში განხილული ამოცანები ნათელ წარმოდგენას აძლევს დაწყებითი კლასების მათემატიკის მასწავლებლებს, როგორი ფორმით უნდა წარმართოს სასწავლო პროცესი და რა სახის ამოცანების ჩართვაა მიზანშეწონილი დაწყებითი კლასების მათემატიკის სასწავლო პროცესში. ასეთი ამოცანების ამოხსნა მოსწავლეებისაგან საჭიროებს ადრე მიღებული ცოდნის აქტივიზაციას და მის საფუძველზე ახალი ცოდნის შექმნას, რაც მოსწავლეებისათვის საინტერესოს და მიმზიდველს ხდის სასწავლო პროცესს. მასწავლებელი სტატიის გულდასმით გაცნობის შემდეგ მარტივად მოახერხებს მსგავსი ამოცანების შედგენას, რომელსაც შემდგომში გამოიყენებს სასწავლო პროცესში. სტატიის ბოლოს გაკეთებულია სათანადო მეთოდური დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: *საძიებო ამოცანა, ტექსტური ამოცანა, რიცხვითი შედარება, შემთხვევბის ანალიზი, მეთოდოლოგია.*

მათემატიკის ეროვნული სასწავლო გეგმა ცალსახად განსაზღვრავს რომელ კლასში როგორი სახის ტექსტური ამოცანების შესწავლა უნდა მოხდეს. მაგრამ მასში დაკონკრეტებული არ არის როგორი შინაარსის ტექსტური ამოცანები უნდა განიხილონ სასწავლო პროცესში, რადგან მათემატიკის ეროვნული სასწავლო გეგმა მასწავლებელს აძლევს არჩევანის თავისუფლებას, მას თვითონ შეუძლია შეარჩიოს როგორი სახის ამოცანები (ალგორითმული, საძიებო, განმავითარებელი, საოლიმპიადო, საგანთაშორისი და სხვ.) შეარჩიოს და ჩართოს სასწავლო პროცესში. ასწავლოს მათი ამოხსნის ალგორითმული, კერძო თუ სპეციალური ხერხები. ამ არჩევანის შესაძლებლობას იძლევვა მე-12 მუხლი (მათემატიკის ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018-2024 წლები, 13): „სკოლა ვალდებულია, უზრუნველყოს სიღრმისეული სწავლება: სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა“. მასზე დაყრდნობით სკოლაში შესაძლებელია მათემატიკის სასწავლო პროცესში ჩართული იქნეს სხვადასხვა სახის საძიებო, არასტანდარტული, საოლიმპიადო ამოცანები, რომელთაც მაღალი განმავითარებელი ეფექტი აქვს. მათემატიკის სასკოლო სახელმძღვანელოებში ძირითადად განხილულია ალგორითმულად ამოხსნადი ტექსტური ამოცანები, რომლებსაც ნაკლები განმავითარებელი ეფექტი აქვს ვიდრე საძიებო, არასტანდარტულ და საოლიმპიადო ამოცანებს. დაწყებითი კლასების მათემატიკის მასწავლებლებისათვის ასეთი სახის ამოცანების მოძიება და მათი ამოხსნის მეთოდების/ხერხების მეთოდური დამუშავება ხელმისაწვდომი არ არის, რადგან ქართულ სინამდვილეში ამ საკითხების სწავლებას წარსულში არავინ იკვლევდა. საქართველოში აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლების მათემატიკის და დაწყებითი განათლების კურიკულუმების ანალიზი აჩვენებს, რომ საძიებო და საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნის კერძო და სპეციალური მეთოდების სწავლება არ ხდება მათემატიკის მეთოდიკის სასწავლო კურსებში, რაც ასევე ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია, სასწავლო პროცესში ჩავრთოთ ასეთი სახის ამოცანები. საძიებო, არასტანდარტულ და საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნის მეთოდებზე/ხერხებზე და მათ ჩართვაზე დაწყებითი კლასების სასწავლო პრაქტიკაში ფუნდამენტური კვლევები ტარდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგრამ კვლევის შედეგების გავრცელება მათემატიკის მასწავლებელთა ფართო წრისთვის მაინც პრობლემად რჩება.

საძიებო, არასტანდარტული, საოლიმპიადო ამოცანების სწავლების მე-

თოდურ დამუშავებას სკოლაში არაერთი კვლევა მიეძღვნა როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში. პირველ რიგში, აუცილებელია მათემატიკის მასწავლებელთა სათანადო მომზადება, რომ მათ შეძლონ საძიებო, არასტანდარტული, საოლიმპიადო ამოცანების სრულყოფილი ამოხსნა და მათი სწავლება. ამის შესახებ გ. პოია (Polya 1981: 12) თვლის, რომ მათემატიკის მომავალი მასწავლებლები დაუფლებული უნდა იყვნენ მათემატიკური ამოცანების ამოხსნის უნარებს. მას მიაჩნია, რომ არასტანდარტული მათემატიკური ამოცანების ამოხსნა ნამდვილი შემოქმედებითი სამუშაოა. უფრო მეტიც, ის ხაზგაზმით აღნიშნავს არასტანდარტული მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული მეთოდების განხილვის აუცილებლობას, რისთვისაც ჩამოყალიბებებული აქვს ზოგადი წესები და არასტანდარტული ამოცანების ამოხსნისას სავალდებულოდ მიაჩნია მათი თანმიმდევრობით გამოყენება: მასწავლებელმა მოსწავლეები უნდა გაარკვიოს ამოსახსნელი ამოცანის არსში, მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ამოცანის პირობის სრულყოფილი გაგება, მისი ყოველმხრივ გააზრება. გაიხსენონ ამოხსნილი ხომ არ აქვთ მსგავსი ამოცანა, თუ ამოხსნილი აქვთ გაიხსენონ როგორ ამოხსნეს, ამოსახსნელი ამოცანისათვის მოიფიქრონ მასზე უფრო ნაკლები სირთულის მქონე დამხმარე ამოცანა, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება ამოსახსნელი ამოცანის ნაწილის გადაჭრა, პირობების მხოლოდ ნაწილის შენარჩუნება, დანარჩენის გამოტოვება და ა.შ. დაახლოებით იგივე მიდგომაა გატარებული ნაშრომშიც (Safuanov 2014: 55–59).

ნაშრომში (Gazizov ... 2018) ავტორები თვლიან, რომ არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის სხვადასხვა მეთოდების შესწავლა ხელს უწყობს არასტანდარტული აზროვნების განვითარებას, რაც ეხმარება ადამიანებს შემოქმედებითი პრობლემების გადაჭრაში. მისი აზრით, ის ადამიანები, რომლებიც სტანდარტულად აზროვნებენ, ვერაფერს ახალს ვერ შექმნიან. მას მიაჩნია, რომ შემოქმედებითი დავალება არის შესანიშნავი გზა თითოეული ადამიანის პიროვნული შესაძლებლობების გამოსავლენად, ხოლო ამოცანების ამოხსნის ევრისტიკული მეთოდები საშუალებას იძლევა გააქტიურდეს ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობები, რაც ზრდის რეალურ ცხოვრებაში მათი დასაქმების შანსებს.

ზოგიერთ ავტორს აქვს მცდელობა განსაზღვროს საძიებო, არასტანდარ-ტული, საოლიმპიადო ამოცანების როლი დაწყებითი კლასების სასწავლო პრაქტიკაში (Khalmuratovna 2020). ადგენენ სავარჯიშოების სის-

ტემებს, რომლებიც ხელს უწყობენ დაწყებითი კლასების მოსწავლეთა აზროვნების სხვადასხვა სახის (ლოგიკური, შემოქმედებითი და სხვ.) განვითარებას, რისთვისაც გამოყენებულია საძიებო, არასტანდარტული, საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნის სხვადასხვა მიდგომა და მეთოდი/ხერხი (Sapazhanov ... 2021, Djurakulova 2019, Sailaubek & Imanbek 2020). საძიებო, არასტანდარტული, საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნის და სწავლების საკითხები ფუნდამენტურად გამოკვლეულია ნაშრომში (Каплан ... 1981), რომელშიც, ავტორები გამოყოფენ სასწავლო სიტუაციების სამ სახეს, რომელიც უკავშირდება სკოლაში ამოცანების ამოხსნის სწავლების სხვადასხვა სტრატეგიებს: I-ისეთი სტანდარტული ამოცანების ამოხსნა, რომელთა ამოხსნის ზოგადი მეთოდები მოსწავლეებისათვის ცნობილი არ არის; II-ისეთი სტანდარტული ამოცანების ამოხსნა, რომელთა ამოხსნა მოსწავლეებისათვის უკვე ცნობილია; III-არასტანდარტული ამოცანების ამოხსნა (Каплан ... 1981: 31). ავტორები არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის პროცესში გამოყოფენ ორ მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტს: ამოცანის წარმოდგენას და ამოხსნის ძიებას. რის შემდეგაც ავტორები არასტანდარტული ამოცანების ამოხსნისათვის იყენებენ ორ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მიდგომას: პირველი ემყარება ამოცანის წარმოდგენას მდგომარეობათა სივრცეში, მეორე-ამოცანის დაყვანას (რედუქციას) ქვეამოცანებზე (Каплан ... 1981: 121).

ქართული მეთოდიკური აზრის ისტორიაში ამ საკითხების კვლევას დიდი ხნის ისტორია არ აქვს. პირველად პროფესორმა თამაზ მორალიშვილმა განახორციელა არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის ძიების სწავლების მეცნიერული კვლევა. თ.მორალიშვილი არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის პროცესში გამოყოფდა ორ არსებით შემადგენელ ელემენტს: ამოცანის წარმოდგენას, მის გადათარგმნას მათემატიკის ენაზე და ამოცანის ამოხსნის ძიებას, რომელიც დამოკიდებულია ამოცანის წარმოდგენის ხერხზე და მიმართულია მისი ამოხსნის შესაძლებლობის ან შეუძლებლობის დადგენაზე (მორალიშვილი 1991). ავტორი განიხილავს არასტანდარტული ამოცანების ამოხსნისადმი ორ მიდგომას. პირველი მიდგომაა ამოცანის წარმოდგენა მდგომარეობათა სივრცეში, მეორე - ამოცანის რედუქცია ქვეამოცანებზე. ამოცანის წარმოდგენას მდგომარეობათა სივრცეში უკავშირებს ცნებებს: საწყისი, მიზნობრივი მდგომარეობა; მდგომარეობის აღწერა; ოპერატორი, გარდამქმნელი ერთი მდგომარეობისა მეორეში;

მდგომარეობათა სივრცე; ძიების (გადარჩევის) სივრცე. ცხადია, რომ, რაც უფრო რაციონალურია ძიების მეთოდი, მით უფრო ვიწროა მისი ძიების სივრცე. განიხილავს ძიების ორი სახეს: ყველა შესაძლო ვარიანტების ბრმა ძიებას (სიღრმეში გადარჩევა, სრული გადარჩევა); მიმართულ (მოწესრიგებულ) გადარჩევას. ძიების პროცესს მდგომარეობათა სივრცეში თ. მორალიშვილი თვალსაჩინოდ გრაფიკული მოდელით წარმოადგენს (მორალიშვილი ... 2008).

ჩვენი გუნდის მიერ საძიებო, არასტანდარტულ, საოლიმპიადო ამოცანების კვლევას მიეძღვნა არაერთი სამეცნიერო სტატია და მონოგრაფია, რომლებშიც დავამუშავეთ სწავლების სხვადასხვა საფეხურზე საძიებო, არასტანდარტული. საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნის და სწავლების საკითხები, შევად-გინეთ 5000-ზე მეტი საძიებო, არასტანდარტული, საოლიმპიადო ამოცანათა სისტემები კლასების მიხედვით. ჩატარებული კვლევებით დადასტურდა საძიებო, არასტანდარტული, საოლიმპიადო ამოცანების ჩართვის აუცილებლობა სკოლის სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ასაკობრივი, გონებრივი, ფსიქო-ფიზიოლოგიური შესაძლებლობების და მათემატიკაში მათი მომზადების დონის შესაბამისად (ჩხიკვაძე და ბერძულიშვილი 2022, ბერძულიშვილი ... 2021, ბერძულიშვილი და ბრეგაძე 2021. ბერძულიშვილი ... 2019, ბერძულიშვილი და ბრეგაძე 2017, ბერძულიშვილი და ბრეგაძე 2016, ბერძულიშვილი 2016, ბერძულიშვილი და ბრეგაძე 2015. გარდა ამისა, ჩვენ მიერ დამუშავებულია ერთი და იმავე მეთოდებით სასკოლო და საოლიმპადო ამოცანების ამოხსნის მეთოდური ასპექტები და მათი ჩართვის მეთოდიკური ასპექტები საშუალო სკოლის სამივე საფეხურზე (ბერძულიშვილი 2018).

საოლიმპიადო, საძიებო, არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის მეთოდების/ხერხების კვლევა და მათი ჩართვა სკოლის სასწავლო პროცესში მეტად აქტუალურია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. რაზეც მეტყველებს ქართველი და საზღვარგარეთელი ექსპერტების დასკვნები იმ საგრანტო პროექტებზე, რომლებშიც ავტორებმა გაიმარჯვეს როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. [1, 2, 3, 4, 5, 6, 7 და სხვ]. საძიებო, არასტანდარტული, საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნის მეთოდებს და მათ სწავლების კვლევას მიეძღვნა ბოლო ათწლეულში რამდენიმე სადოქტორო დისერტაცია მათემატიკის სწავლების მეთოდიკაში, რომელთა მომზადება და დაცვა მოხდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტე-

ტის განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.

სტატიაში განხილული გვაქვს დაწყებით კლასებში საძიებო. არასტანდარტული, საოლიმპიადო ტექსტური ამოცანების ამოხსნის მეთოდი, რომელიც უკავშირდება რიცხვით შედარებებს და შემთხვევების ანალიზს. ამ მეთოდს ფართო გამოყენება აქვს დაწყებითი კლასების სასწავლო პრაქტიკაში და არ ცილდება სასკოლო პროგრამას, ჩვენ ეს მეთოდი გამოყენებული გვაქვს ამოცანების არითმეტიკული მიდგომით ამოხსნისას, რაც ხშირად დაფუძნებულია ამოცანის პირობაში მოცემული რომელიმე კონკრეტული სიდიდის ყველა შესაძლო შემთხვევების განხილვასთან, ან ყველა შესაძლო შემთხვევებიდან იმ ქვეშემთხვევების გამოყოფასთან, როცა შესაძლებელია მოხდეს ან არ მოხდეს ამოცანის პირობაში აღწერილი მოვლენა ან პროცესი, მინიმალური ან მაქსიმალური მნიშვნელობების მოძებნისას და სხვ. უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ რიცხვითი შედარებების გამოყენება კარგ შედეგს იძლევა ისეთი ამოცანების ამოხსნის დროს, როცა ამოცანის ამოხსნა ეფუძნება რიცხვთა გაყოფადობას, როცა ამოცანების ალგებრული მიდგომით ამოხსნისას მიიღება ერთ-უცნობიანი წრფივი განტოლება და სხვ. განვიხილოთ რიცხვითი შედარებების და შემთხვევების ანალიზის გამოყენებით რამდენიმე საძიებო, არასტანდარტული, საოლიმპიადო ამოცანა. განსახილავი ამოცანების თემატიკის შერჩევისას მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამოცანების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობებს. მაგალითად, რეალურ ცხოვრებაში ადამიანებს ყოველდღიურად უხდებათ მინიმუმის და მაქსიმუმის არაერთი ამოცანის გადაწყვეტა. ყველა ადამიანი ფიქრობს დროის მინიმალურ შუალედში შეასრულოს მაქსიმალური სამუშაო, მინიმალური დანახარჯებით მიიღოს მაქსიმალური მოგება და სხვ. ასეთი ამოცანების განხილვა დაწყებითი კლასებიდანვე უნდა დავიწყოთ. საილუსტრაციოდ განვიხილოთ რამდენიმე ამოცანა.

ამოცანა 1. მამილო კარლს აქვს 130 დაფა. 5 დაფისგან მას შეუძლია გააკე-თოს სათამაშო წისქვილი, 7 დაფისგან-თბომავალი, 14 დაფისგან-თვითმფრი-ნავი. თვითმფრინავი 19 ოქრო ღირს, თბომავალი-8 ოქრო, წისქვილი 6 ოქრო. მაქსიმუმ რამდენი ოქროს გამომუშავება შეუძლია მამილო კარლს?

ამოცანის ამოხსნის დაწყებამდე მასწავლებელმა მოსწავლეების ყურადღება უნდა მიაპყროს იმას, თუ რა რაოდენობის მასალას ხარჯავს მამილო კარლი და რამდენ ანაზღაურებას იღებს სანაცვლოდ, რადგან ამოცა-

ნაში მოთხოვნილია მაქსიმალური თანხის გამომუშავება, ხოლო თანხის გამოსამუშავებელი მასალის რაოდენობა შეზღუდულია. მასწავლებელი ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, რომ ერთ თვითმფრინავის დამზადებას ჭირდება ზუსტად იმდენი დაფა-14, რაც ორი თზომავალის დამზადებას, მაგრამ ერთი თვითმფრინავი ღირს უფრო ძვირი, ვიდრე ორი თზომავალი. მასწავლებელი მოს-წავლეებს დაუსვამს კითხვას, რომელი სათამაშოს გაკეთებაა მიზანშეწონილი იმისათვის, რომ მაქსიმალური მოგება მიიღოს მამილო კარლმა? როცა დადგინდება, რომელი სათამაშოს გაკეთებაა მიზანშეწონილი, ამის შემდეგ სათანადო კითხვებით გაარკვევს რამდენი ასეთი სათამაშო უნდა დამზადდეს. მოსწავლეები გააცნობიერებენ, რომ აზრი არა აქვს ერთზე მეტი თზომავლის გაკეთებას. ამასთან, მოსწავლეებმა უნდა დაადგინონ რა შემთხვევაში უნდა გაკეთდეს თზომავალი და რა შემთხვევაში არა. შემდეგ გადადის სხვა სათამა-შოების დამზადების შესაძლებლობების გარკვევაზე. 15 დაფიდან შეიძლება გაკეთდეს სამი წისქვილი (შემოსავალი 18 ოქრო) ან თვითმფრინავი (შემოსავალი 19 ოქრო და მორჩენილი 1 დაფა). ამ შემთხვევაშიც სათანადოდ დასმული კითხვებით მოსწავლეები მივლენ დასკვნმდე, რომ აზრი არა აქვს არაუმეტეს ორი წისქვილის გაკეთებას. აქაც მოსწავლეები უნდა გაერკვნენ რატომ და როდის უნდა გააკეთოს მამილო კარლმა ორი ან ერთი წისქვილი, ან საერთოდ არ გააკეთოს წისქვილი. ეს ნიშნავს, რომ მამილო კარლმა შეიძლება დახარჯოს არაუმეტეს $7+2\cdot5=17$ დაფა. ამის შემდეგ ამოცანის ამოხსნა მარტივია. თვითმ-ფრინავი უნდა გააკეთოს 8 ან 9. მეორე შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ მხოლოდ 9 თვითმფრინავს, პირველ შემთხვევაში 8 თვითმფრინავთან ერთად დაფები ეყოფა კიდევ ორ წისქვილს და თზომავალს (რომელიც თვითმფრინავზე ძვირი ღირს) და დარჩება კიდევ ერთი დაფა. საბოლოოდ, მამილო კარლის მიერ გა-მომუშავებული მაქსიმალური თანხა იქნება

$$8 \cdot 19 + 2 \cdot 6 + 8 = 172 \text{ (ოქრო)}.$$

ამოცანა 2. ზღაპრების ქვეყანაში მიმოქცევაშია 1, 2, 3, ... , 19, 20 კვინტოს მო-ნეტები (კვინტო-ჩვენს მიერ გამოგონილი ფულის ერთეულია). სხვა მონეტები ზღაპრების ქვეყანაში არ არსებობს. ბურატინოს ქონდა ერთი მონეტა. მან იყიდა ნაყინი და ხურდაში მიიღო ერთი მონეტა. შემდეგ ისევ იყიდა ისეთივე ნაყინი და ხურდაში მიიღო სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული მონეტა. ბურატინოს უნდოდა კიდევ ეყიდა ისეთივე ნაყინი, მაგრამ ფული არ ეყო. რა ღირს ნაყინი?

მოსწავლეებისათვის შეიძლება უცნაური იყოს 17 კვინტოიანი მონე-

ტის არსებობა, მაგრამ მასწავლებელი აუხსნის, რომ ეს ზღაპრიდანაა, ხოლო ზღაპარში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მოსწავლეები უნდა გაერკვნენ რომელია ზღაპრების ქვეყანაში მინიმალური და მაქსიმალური ღირებულების მონეტები. მასწავლებელი მოსწავლეებს დაუსვამს შესაბამის კითხვებს, რომლითაც დაადგენს, რომ ბურატინოს მაქსიმუმ შეიძლებოდა ქონოდა 20 კვინტო და ნაყინი არ შეიძლება ღირდეს 7 კვინტოზე ნაკლები. ამის შემდეგ მოსწავლეებმა გაარკვევენ მინიმუმ რამდენი კვინტოს დაუბრუნებდნენ ბურატინოს ხურდაში სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული მონეტით? ცხადია, ეს 1, 2 და 3 კვინტოიანი მონეტებია და მათი ჯამი 1+2+3=6 კვინტოა. რას გვეუბნება ის, რომ ბურატინომ 6 კვინტოდ ნაყინი ვერ იყიდა? რადგან ეს ფული მას არ ეყო ნაყინის საყიდლად, ამიტომ ნაყინის ღირებულება არანაკლებ 7 კვინტოა. ამის შემდეგ მოსწავლეები მარტივად დაადგენენ, რომ ნაყინი ღირს ზუსტად 7 კვინტო. ნაყინის ყიდვა და გადახდა შეიძლება წარმოვადგინოთ ასე:

$$20 - 7 = 13, \ \ 13 - 7 = 6 = 1 + 2 + 3.$$

ამოცანა 3. ირინეს ძალიან უყვარს კანფეტები. სტომატოლოგმა ირინეს აუკრძალა შეჭამოს დღეში 10 კანფეტზე მეტი. თუ ირინე რომელიმე დღეს შეჭამს 7 კანფეტზე მეტს, მაშინ შემდეგი ორი დღის განმავლობაში მან არ უნდა შეჭამოს დღეში 5 კანფეტზე მეტი. რა მაქსიმალური რაოდენობის კანფეტები შეუძლია შეჭამოს ირინემ 25 დღის განმავლობაში, თუ ის შეასრულებს სტომატო-ლოგის მითითებებს?

ეს ამოცანაც უკავშირდება კანფეტების მაქსიმალური რაოდენობის გამოთვლას, რომელიც შეუძლია შეჭამოს ირინემ. მისი სტრატეგიაა შეჭამოს რაც შეიძლება მეტი კანფეტი ისე, რომ არ დაარღვიოს სტომატოლოგის მითითება. ამისათვის მან გარკვეული მოთხოვნები უნდა შეასრულოს, რომელიც ამოცანის პირობაშია მოცემული. მასწავლებლის მიერ სათანადოდ დასმული კითხვებით მოსწავლეები მარტივად დაადგენენ, რომ თუ ირინე რომელიმე დღეს (გარდა ბოლო დღისა) შეჭამს 7 კანფეტზე მეტს, მაშინ მას შემდეგი ორი დღის განმავლობაში შეუძლია მაქსიმუმ შეჭამოს არაუმეტეს 5+5=10 კანფეტი, ხოლო 3 დღეში არაუმეტეს 20 კანფეტი. რაც ნიშნავს იმას, რომ ირინესთვის მომგებიანია ამ სამი დღის განმავლობაში ყოველდღიურად შეჭამოს 7 კანფეტი. აქედან გამომდინარეობს, რომ პირველ 24 დღეში ირინესთვის მომგებიანია ყოველდღიურად შეჭამოს 7 კანფეტი, ხოლო ბოლო დღეს მას შეუძლია შეჭამოს 10 კანფეტი. ეს უფრო მომგებიანია ირინესთვის, ვიდრე ბოლო ორ დღეში შეჭამოს 10+5=15 კანფეტი. ე.ი. ირინას მიერ მირთმეული კანფეტების უდიდესი რაოდენობა იქნება: 24 •7+10=178.

საკლასო მეცადინეობაზე ამ ამოცანის ამოხსნის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს საშინაო დავალებად მიცეს ანალოგიური ამოცანა, რომელშიც მოსწავლეებს სათანადო პირობების გათვალისწინებით დასადგენი ექნებათ მინიმუმ რამდენ კანფეტი უნდა შეჭამოს ირინემ კონკრეტულ დროში.

ამოცანა 4. სიმღერის კონკურსში მონაწილეობდა მამალი, ყვავი და გუგული. ჟიურის თითოეულმა წევრმა პერსონალურად შეაფასა კონკურსანტების გამოსვლა. კოდალამ დათვალა, რომ ჟიური შედგებოდა 59 წევრისაგან, ამასთან მამალმა და ყვავმა, ჯამში მიიღეს 15 ხმა, ყვავმა და გუგულმა ჯამში-18 ხმა, ხოლო გუგულმა და მამალმა ჯამში-20 ხმა. კოდალა ცუდად თვლის, მაგრამ მის მიერ დასახელებული რიცხვები რეალურისაგან განსხვავდება არაუმეტეს 13-ით. რამდენმა ჟიურის წევრმა მისცა ხმა ყვავს?

პირველ რიგში, მეთოდური თვალსაზრისით, მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა გაუმარტოს, რას ნიშნავს ტერმინი რაოდენობის რეალურისაგან გარკვეული რიცხვით განსხვავება. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომ ეს რეალურად არის შუალედი, რომელიც მოიცავს დასახელებული რიცხვიდან გადახრას როგორც ნაკლებობით, ისე მეტობით, რომ გადახრა არ აღემატება მოცემულ რიცხვს. მაგალითად, ამოცანის პირობით კოდალამ დათვალა, რომ ჟიური შედგებოდა 59 წევრისაგან. რადგან მის მიერ დასახელებული რიცხვები რეალურისაგან განსხვავდება არაუმეტეს 13-ით, ამიტომ ჟიურის წევრთა რაოდენობა იყო არანაკლებ 46 და არაუმეტეს 72. ამის შემდეგ მასწავლებელთან ერთად მოსწავლეები დაადგენენ, რას არ აღემატება მამლის და ყვავის, ყვავის და გუგულის, გუგულის და ყვავის მიღებული ხმების რაოდენობა. მოსწავლეები გამოთვლიან, რომ მამლის და ყვავის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა არ აღემატება 28-ს, რადგან 15+13=28. ანალოგიურად, ყვავისა და გუგულის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა არ აღემატება 31, რადგან 18+13=31, ხოლო გუგულისა და მამლის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა არ აღემატება 33-ს, რადგან, 20+13=33. სულ სამივე კონკურსანტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობის მაქსიმუმია

$$(28 + 31 + 33) : 2 = 46.$$

მეორე მხრივ, კოდალას დათვლით ჟიურის წევრთა რაოდენობა ნაკლები არ არის 46-ზე, რადგან 59–13=46. ამიტომ, ჟიურის წევრთა რაოდენობაა 46, ხოლო ყველა უტოლობა გადაიქცევა ტოლობად. ყვავის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა შეიძლება გამოვთვალოთ, როგორც ჟიურის ყველა წევრის ხმათა რაოდენობისა და მამლისა და გუგულის მიერ ჯამში დაგ-

როვილი ხმების სხვაობა: 46-33=13. ე.ი. ყვავს კონკურსზე მიუღია 13 ხმა.

ამოცანა 5. მესაათეს ოთახში ოთხივე კედელზე თითო საათი უკიდია. ოთ-ხივე საათი არასწორ დროს აჩვენებს: პირველი საათი ცდება 2 წუთით, მეორე-3 წუთით, მესამე-4 წუთით და მეოთხე-5 წუთით. ერთხელ, სასეირნოდ წასვლის წინ, მესაათემ გადაწყვიტა გაეგო ზუსტი დრო. საათების ჩვენებები იყო: 14;54, 14:57, 15:02 და 15:03. დაეხმარეთ მესაათეს გაიგოს ზუსტი დრო.

აქაც, წინა ამოცანის მსგავსად, მოსწავლეებს უნდა განვუმარტოთ, რას ნიშნავს საათი ცდება 3 წუთით. წინა ამოცანაში კოდალას შეცდომა ყველა შემთხვევაში იყო ერთნაირი, ის ხმებს ითვლიდა ნაკლებობით, ამ ამოცანაში კი შესაძლებელია ზოგიერთი საათი ნამდვილ დროზე წინ მიდიოდეს, ან ჩამორჩებოდეს ნამდვილ დროს. ამოცანის პირობაში საათებს შორის არანაირი კავშირები გამოკვეთილი არ არის, ეს გაირკვევა მოგვიანებით. მოსწავლეებს არ უნდა შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ ყველა საათი ერთდროულად ან წინ მიდის ან ერთდროულად ჩამორჩება რეალურ დროს. შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეთა ყურადღება უნდა გაამახვილოს საათების ჩვენებაზე. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა დაუსვას ისეთი კითხვები, რომლითაც შესაძლებელი იქნება დადგინდეს რამდენი წუთი შეიძლება იყოს განსხვავება მაქსიმუმ/მინიმუმ საათების ჩვენებებს შორის. თუ მოსწავლეებმა ვერ შენიშნეს მიახვედროს, რომ პირველი და მეოთხე საათების ჩვენებები ერთმანეთისაგან განსხვავდება 9 წუთით. საათებს შორის 9 წუთით სხვაობა მაქსიმუმია, რაც შეიძლება იყოს საათების ჩვენებებს შორის. ეს ნიშნავს, რომ ერთი საათი ცდება 4 წუთით (წინ მიდის ან ჩამორჩება), მეორე კი 5 წუთით (ჩამორჩება ან წინ მიდის). ამიტომ ზუსტი დროა ან 14:59 ან 14:58. პირველ შემთხვევაში მეორე საათი ჩამორჩება 2 წუთით, ხოლო მესამე-წინ მიდის 3 წუთით. მეორე შემთხვევა შეუძლებელია, რადგან საათი, რომელიც აჩვენებს 14:57, ცდება 1 წუთით, რაც ეწინააღმდეგება ამოცანის პირობას. ე.ი. ზუსტი დროა 14:59.

ექსპერიმენტებით დასტურდება, რომ, თუ მოსწავლეები დაწყებით კლასებში ეჩვევიან საძიებო, არასტანდარტული, საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნას რიცხვთა შედარების და შემთხვევათა ანალიზის გამოყენებით, მაშინ ისინი გაცილებით მარტივად ითვისებენ ისეთი სახის საძიებო, არასტანდარტული, საოლიმპიადო განტოლებების/უტოლობების ამოხსნას საბაზო და საშუალო საფეხურებზე, როცა განტოლების/უტოლობის ერთ ნაწილში მოცემული ფუნქციის/ფუნქციათა კომპოზიციის მინიმუმი განტოლების/უტოლობის მეორე ნაწილში მოცემული ფუნქციის/ფუნქცი-

ათა კომპოზიციის მაქსიმუმის ტოლია.

დაწყებითი კლასების მოსწავლეები ინტერესდებიან ისეთი ამოცანების ამოხსნით, რომლებიც უკავშირდება რიცხვთა გაყოფადობას, ასაკის დადგე-ნას, რაიმე სიმრავლის ელემენტების რაოდენობის დადგენას და სხვ. სიმრავ-ლის ელემენტების რაოდენობის დადგენა მოსწავლეებს ეხმარება გარკვეული კლასის ამოცანების ამოხსნაში. მაგალითისათვის განვიხილოთ

ამოცანა 6. სამნი თამაშობენ მაგიდის ჩოგბურთს. წაგებული ისვენებს და ადგილს უთმობს მას, ვინც არ თამაშობდა. ჯამში გოგიმ ითამაშა 10 პარტია, პაპუნამ-15, ხოლო მამუკამ-17. რომელმა მოთამაშემ წააგო მეორე პარტიაში?

მოსწავლეთა უმრავლესობას უყვარს მაგიდის ჩოგბურთის თამაში. მათ იციან თამაშის წესები. შესაძლოა კლასში მაგიდის ჩოგბურთის გამორჩეული მოთამაშეც იყოს, რაც მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს მოსწავლეთა მოტივიაციის ასამაღლებლად. მოკლე მიმოხილვის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეთა დახმარებით გადადის ამოცანის ამოხსნაზე. ამოცანის ამოსახსნელად პირველ რიგში უნდა დავადგინოთ სულ რამდენი პარტია ითამაშა სამივემ ერთად. რადგან თამაშობენ ორნი, ამიტომ ნათამაშები პარტია დათვლაში შედის ორჯერ, რაც ნიშნავს, რომ სულ სამივე მოთამაშემ ჯამში ითამაშა (10+15+17):2=21 პარტია. შევნიშნოთ, რომ არცერთს არ შეეძლო გამოეტოვებინა ორი პარტია მიმდევრობით. 21 პარტიაში 11 კენტი ნომრის პარტიაა: 1, 3, 5, 7, 9, 11, 13, 15, 17, 19 და 21. 10-ის ტოლია ლუწი ნომრის პარტიების რაოდენობა: 2, 4, 6, 8, 10, 12, 14, 16, 18 და 20. ამოცანის პირობით გოგიმ ითამაშა 10 პარტია, ამიტომ მას უთამაშია ყველა ლუწი პარტია და მხოლოდ ეს პარტიები. რადგან მას არ უთამაშია არცერთ კენტ პარტიაში, ე.ი. არ უთამაშია არც მესამე პარტიაში, ეს ნიშნავს, რომ მან მეორე პარტია წააგო.

ჩვენ ვიხილავთ ისეთ საძიებო ამოცანებს ასაკის დადგენაზე და რიცხვთა გაყოფადობაზე, რომლებსაც ვუკავშირებთ რიცხვის მარტივ მამრავლებად დაშლას და მასზე დაყრდნობით ვახდენთ რიცხვის მამრავლებად დაშლის სხვადასხვა კომბინაციების შედგენას, რომელშიც ზოგიერთი თანამამრავლი შესაძლოა მარტივი რიცხვი არც იყოს და ვახდენთ მათ ადაპტირებას ამოცანის პირობასთან. ასეთი მეთოდური მიდგომები მოსწავლეებში აღძრავს ინტერესს და უჩნდებათ მზაობა ასეთი სახის საძიებო ამოცანების ამოსახსნელად. საილუსტრაციოდ განვიხილოთ

ამოცანა 7. როცა მათემატიკოსს მისი შვილების ასაკის შესახებ ჰკითხეს,

უპასუხა: მე და ჩემს მეუღლეს სამი შვილი გვყავს. როცა პირველი შვილი დაიბადა, მაშინ ოჯახის წევრთა ასაკთა ჯამი იყო 45 წელი, ერთი წლის წინ, როცა მესამე შვილი დაიბადა-70 წელი, ახლა, ბავშვების ასაკთა ჯამია 14 წელი. რამდენი წლისაა თითოეული ბავშვი, თუ ცნობილია, რომ ოჯახის ყველა წევრს დაბადების დღე ერთი და იმავე თვის ერთსა და იმავე რიცხვში აქვს?

მოსწავლეებიდან ზოგიერთმა შეიძლება არ იცოდეს და მასწავლებელმა მათ უნდა განუმარტოს, რომ ადამიანის ასაკი გამოისახება არაუარყოფითი მთელი რიცხვით. რადგან, ახლა ყველა ბავშვის ასაკთა ჯამი 14 წელია და მესამე ბავშვი შარშან დაიბადა, ამიტომ ერთი წლის წინ ბავშვების ასაკთა ჯამი იყო 11 წელი, რაც ნიშნავს, რომ მშობლების ასაკთა ჯამი იყო 59 წელი. პირველი შვილის დაბადების დროს მშობლების ასაკთა ჯამი იყო 45 წელი, ამიტომ პირველი შვილის დაბადებიდან მესამე შვილის დაბადებამდე გასულა (59–45):2=7 წელი. ცხადია, რომ პირველი შვილი შარშან იყო 7 წლის, მეორე კი-4 წლის. საბოლოოდ დავასკვნით, რომ ახლა უფროსი შვილი 8 წლისაა, მეორე შვილი 5 წლის, მესამე კი ერთი წლის.

განსაკუთრებით საინტერესოა ტყუპების ასაკის დადგენის საძიებო ამოცა-ნების განხილვა. განვიხილოთ

ამოცანა 8. ერთმანეთს შეხვდა დიდი ხნის უნახავი ორი მათემატიკოსი. რამდენი შვილი გყავს?-ეკითხება პირველი მეორეს. სამი ბიჭი, პასუხობს მეორე. რამდენი წლის არიან? მეორე პასუხობს: თუ გაამრავლებთ სამივე ბიჭის წლოვანებებს, მიიღებთ 36-ს, ხოლო თუ შეკრებთ, მივიღებთ შენი სახლის ნომერს. პირველი მათემატიკოსისთვის ინფორმაცია საკმარისი არ აღმოჩნდა. მეორე მათემატიკოსმა ცოტა ხანს იფიქრა და უთხრა: უფროს ბიჭს ცისფერი თვალები აქვს. ამის შემდეგ პირველმა მათემატიკოსმა მეორეს ზუსტად უთხრა რამდენი წლისაა თითოეული ბიჭი. როგორ შეძლო მან ეს? რა ნომერ სახლში ცხოვრობს პირველი მათემატიკოსი?

ამოცანის ამოსახსნელად მასწავლებელმა მოსწავლეებს პირველ რიგში უნდა შეადგენინოს ყველა ისეთი სამეული, რომელთა ნამრავლია 36. ასეთი სამეულებია: 1, 1, 36/1, 2, 18/1, 3, 12/1, 4, 9/1, 6, 6/2, 2, 9/2, 3, 6/ 3, 3, 4. მოსწავლეები შეკრებენ სამეულებს. მიიღებენ შესაბამისად: 38, 21, 16, 14, 13, 13, 11, 10. ამ რიცხვებს შორის მხოლოდ 13 გვხვდება ორჯერ. ჩვენგან განსხვავებით, პირველმა მათემატიკოსმა თავისი სახლის ნომერი იცის და რადგან ვერ განსაზღვრა ბიჭების ასაკი, ამიტომ მისი სახლის ნომერია 13. ბიჭების ასაკის ცალსახად დადგენა მოხდა მეორე მათემატიკოსის ნათქვამის შემდეგ, როცა მან უთხრა, რომ უფროს ბიჭს ცისფერი თვალები ქონდა. ეს პასუხი მოსწავლეებისათვის დამაბნეველია, რადგან რა შუაშია ცისფე-

რი თვალები და ასაკი ერთმანეთთან, მაგრამ პასუხში იმალება ის ინფორმაცია, რომელიც ამოცანის ამოხსნის გასაღებს წარმოადგენს. კერძოდ, რომ მის შვილებს შორის ერთი უფროსია. ჩვენ ორ კომბინაციას 1, 6, 6 და 2, 2, 9 შორის ერთ შემთხვევაში ტყუპები არიან უფროსები, ხოლო მეორე შემთხვევაში ერთი უფროსია, რომელიც 9 წლისაა, ხოლო ორი ტყუპები არიან, რომელთა ასაკია 2 წელი. ე.ი. პირველი მათემატიკოსის ორი ტყუპი 2 წლისაა, უფროსი 9 წლისაა და თანაც ცისფერი თვალები აქვს. პირველი მათემატიკოსის სახლის ნომერია 13.

ამოცანა 9. გემის კაპიტან კაუჭას ოთხი ბიჭი და რამდენიმე გოგონა ყავს. თუ 100 წელზე ნაკლები კაპიტანის წლოვანებას გავამრავლებთ მისი შვილების რაოდენობაზე და მისი გემის სიგრძეზე, რომელიც ფუტების მთელი რიცხვით გამოისახება, მაშინ მივიღებთ 32118. რამდენი წლის არის კაპიტანი კაუჭა, რამდენი შვილი ყავს და რა სიგრძისაა გემი?

პირველ რიგში მოვახდინოთ 32118-ის დაშლა მარტივ თანამარავლთა ნამრავლად. გვაქვს: $32118 = 2 \cdot 3 \cdot 53 \cdot 101$. ამოცანის პირობით კაპიტნის შვილე-ბის რაოდენობა 5-ზე ნაკლები არ არის. ცხადია, რომ კაპიტნის წლოვანებაც და გემის სიგრძეც 3-ზე მეტია. ამიტომ 32118 რიცხვი წარმოვადგინოთ სამი თანამარავლის ნამრავლად, რომელთაგან თითოეული 3-ზე მეტია. არსებობს მხოლოდ ერთადერთი ასეთი წარმოდგენა, რომელსაც აქვს სახე: $6 \cdot 53 \cdot 101$. თუ მხედველობაში მივიღებთ შეზღუდვებს კაპიტნის ასაკზე და მისი შვილების რაოდენობაზე მარტივად დავადგენთ, რომ კაპიტანი 53 წლისაა, მას 6 შვილი ყავს და მისი გემის სიგრძეა 101 ფუტი.

მასწავლებელმა საშინაო დავალებად მოსწავლეებს შეიძლება შეთავაზოს მსგავსი ამოცანები, რომელთა სირთულე კლასში განხილული ამოცანების სირთულეზე დაბალი იქნება. ცხადია, განხილული ამოცანები არ ამოწურავს თემის ყველა სახეს, მაგრამ ნათელ წარმოდგენას იძლევა, როგორი ფორმით უნდა წარმართოს სასწავლო პროცესი და როგორი სახის ამოცანების ჩართვაა მიზანშეწონილი დაწყებითი კლასების მათემატიკის სასწავლო პროცესში. ასეთი სახის ამოცანების ამოხსნა მოსწავლეებისაგან საჭიროებს ადრე მიღე-ბული ცოდნის აქტივიზაციას და მის საფუძველზე ახალი ცოდნის დამოუკი-დებლად შექმნას, რაც მოსწავლეებისათვის საინტერესოს და მიმზიდველს ხდის სასწავლო პროცესს.

ლიტერატურა

ბერძულიშვილი, გიორგი, თამარ დოგრაშვილი, ირინე გოგიბერიძე, გიორგი ბრეგაძე. 2021, *საძიებო და საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანები დაწყებით კლასებში (I-VI კლასები)*. ქუთაისი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

